

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის
2019 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების წლიური ანგარიში

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან;

საბიუჯეტო დოკუმენტაცია შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებს.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი, მეორე და მესამე წარდგენა), 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი და ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცდა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებს. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“ განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ბიუჯეტის კანონის პროექტები და ბიუჯეტის კანონი განთავსებულია რედაქტირებად ფორმატში.

1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის;

2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში არანაკლებ ორი სამინისტროს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები) მაგალითზე;

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია დეტალური ინფორმაცია;

სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები გაუმჯობესებულია, შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას; საქართველოს სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს.

მზადდება საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზების შედარება, რომელიც თან ერთვის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: 2019-2022 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე .

მომზადდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2019 წლის 28 თებერვლის N125 დადგენილებით. შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

მომზადდა 2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის პირველადი ვერსია, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ასევე ბიუჯეტის პროექტს ყველა წარდგენაზე თან გაყვა დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მომზადდა ინფორმაცია საშუალოვადიანი პროგნოზების პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე, რომელიც თან ერთვის 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, სამინისტროების სამოქმედო გეგმების საბიუჯეტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები შესაბამისობაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონთან. ასევე, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მიხედვით სამინისტროებმა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებში სათანადო ცვლილებები უნდა ასახონ წლიური ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდგომ, არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი:

ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ყველა სამინისტროს და არანაკლებ 40 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის.

არანაკლებ 3 მუნიციპალიტეტისთვის საბიუჯეტო პროცესის განმავლობაში გაწეული დახმარება (coaching) და მათ მიერ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომზადებული საბიუჯეტო დოკუმენტაცია (პრიორიტეტების დოკუმენტი, სამოქმედო გეგმები, პროგრამული ბიუჯეტის დანართი).

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია განახლებულია.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2018 წლის 27 ივლისს ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ და განახლდა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის დანერგვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის.

1.4 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

შემუშავებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების მექანიზმები; განხორციელებულია ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები;

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

დონორების მხარდაჭერით არანაკლებ 18 მუნიციპალიტეტისთვის მომზადებული ბიუჯეტის ცნობარი.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა ფუნქციონირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. მომზადებულია მოკლე ანგარიში 2019 წლის განმავლობაში აღნიშნული ელექტრონული პლატფორმის საშუალებით ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის მეშვეობით (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

დონორების მხარდაჭერით მომზადებული ბიუჯეტის ცნობარები შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის.

2019 წელს პილოტურ რეჟიმში შემუშავდა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და ჩართულობის სისტემა (eBTPS – Budget Transparency and Participation System), რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი აზრი გამოხატონ ბიუჯეტის დაგეგმვის მიმართულებით, მიიღონ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესზე და აქტიურად ჩაერთონ იმ ძირითადი პრიორიტეტების დადგენაში, რომლის დაფინანსებაც უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სისტემა (e-BTPS) მეშვეობით მოქალაქეებს საშუალება ექნებათ დაგეგმონ სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც მხარჯავი ორგანიზაციების, ასევე ქვეყნის ძირითადი პრიორიტეტების მიხედვით. სისტემის მეშვეობით მოქალაქეები ასევე მიიღებენ უკუკავშირს მათ მიერ დაგეგმილი პრიორიტეტების/ორგანიზაციების ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე. 2020 წლიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტებზე და ბიუჯეტის კანონზე მომზადებულია მოქალაქის გზამკვლევი და მოკლე ბროშურა, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. აღნიშნული ბროშურა USAID-ის მხარდაჭერით დაიბეჭდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ USAID-ის მხარდაჭერით ჩატარდა ღონისძიება ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით. ღონისძიებაზე წარდგენილ იქნა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მოქალაქის გზამკვლევი და ბროშურა, ასევე ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმის-ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია-Budget Transparency and Participation System (eBTPS).

1.5 ფისკალური მართვის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში შემდგომი მოყვანა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში „ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს გაძლიერება“ დოკუმენტში 2019 წლისთვის განსახორციელებელი შემუშავებული რეკომენდაციების ეტაპობრივი შესრულება:

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების შესაბამისად „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, დაზუსტდა დღეს არსებული ფისკალური წესების გამოყენების პირობები, გამკაცრდა მათი დაცვის ვალდებულება და დარღვევის შემთხვევაში რეაგირების საკითხები. ფისკალური წესების პროგნოზების წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახვისა და წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში მათზე ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება დაემატა საბიუჯეტო კოდექსსაც. აღნიშნული ცვლილებები მომზადდა 2018 წელს და რეგულაციები ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი და საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ.

1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

2018 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და საქართველოს პარლამენტისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებული ინფორმაცია წინა წლის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა 2018 წლის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის №2051 განკარგულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარდგენილია „ინფორმაცია 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული პროგრამის, როგორც დაგეგმილი და მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგების, ასევე, დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შეფასების ინდიკატორების თაობაზე. 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში რედაქტირებად ფორმატში განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2019 წლის გამავლობაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს წარედგინა ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3, 6 და 9 თვის) ანგარიშები, რომელიც რედაქტირებად ფორმატში განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.7 კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავება და პროგრამების ეფექტიანობის შეფასების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის სამმართველო (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია გადამუშავებულია; მიმდინარეობს კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის პილოტირების ხელშეწყობა.

საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია ჰარმონიზებულია საჯარო-კერძო პარტნიორობის (PPP) შესახებ კანონმდებლობასთან.

მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები დონორების მხარდაჭერით.

შესწავლილია პროგრამების ეფექტიანობის შეფასების საერთაშორისო გამოცდილება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე საინვესტიციო პროექტების მართვის პროცესის გაუმჯობესების და რეფორმის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ცვლილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილებაში. ცვლილების შედეგად განახლებული გზამკვლევი ვრცელდება ყველა ახალ საინვესტიციო/კაპიტალურ პროექტზე, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5.0 მლნ ლარს დაფინანსების წყაროს მიუხედავად, მათ შორის დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე. გზამკვლევით ზუსტდება და ნათლად არის განსაზღვრული საინვესტიციო პროექტების სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ეტაპზე საინვესტიციო პროექტების ინიციატორი და განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს როლები და პასუხისმგებლობები. ამასთან, განახლდა ფინანსთა სამინისტროში მოქმედი საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდა სამუშაო ჯგუფის დებულება.

ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, მხარჯავი დაწესებულებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან აქტიური შეხვედრების და კონსულტაციების

შედეგად მომზადდა „საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის რეფორმის ფარგლებში საინვესტიციო პროექტების წინასწარი შერჩევის პილოტური ანალიზი“, შეფასდა 14 საინვესტიციო პროექტი საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევისა და მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი დანართის სახით თან ერთვის 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს და რედაქტირებად ფორმატში ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.8 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

1.9 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი:

გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტში.

დანერგილია მექანიზმები მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მიზნით 15-მდე მუნიციპალიტეტში

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) 10 (კასპი, ყაზბეგი, ბორჯომი, გარდაბანი, დედოფლისწყარო, სენაკი, საგარეჯო, სამტრედია, სიღნაღი, წყალტუბო) მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტების სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზის საფუძველზე დაინერგა მექანიზმი გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით 27 მუნიციპალიტეტში. კერძოდ, 2018-2021 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების სათანადოდ განხორციელების და სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს მიერ 27 მუნიციპალიტეტთან (ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ზესტაფონი, ხაშური, გურჯაანი, მცხეთა, წყალტუბო, საგარეჯო, სამტრედია, ქ. ფოთი, ლანჩხუთი, ახალქალაქი, მარტვილი, ლაგოდეხი, თერჯოლა, ქარელი, ხობი, კასპი, სენაკი, ონი, დუშეთი, ყაზბეგი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, ბორჯომი) გაფორმდა

შესაბამისი მემორანდუმები. მემორანდუმით განსაზღვრულ დადგენილ ვადებში, მუნიციპალიტეტების მიერ შესაბამისი ამოცანების და სამიზნე მაჩვენებლების შესრულებით, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ კაპიტალური გრანტი. 2020-2023 წლებში ჯამში მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები კაპიტალური გრანტი შეადგენს არაუმეტეს 58.5 მლნ ლარს. ზოგადი პირობების და მემორანდუმით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების შესრულებას ამოწმებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ერთის მხრივ მუნიციპალიტეტების მიერ რეფორმების განხორციელების ეტაპზე დახმარებას/მხარდაჭერას, მუნიციპალიტეტები გააუმჯობესებენ ფინანსების მართვას, გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა შესაძლებლობები, ხოლო მეორეს მხრივ, განხორციელებული ამოცანების შესრულებისთვის მუნიციპალიტეტები მიიღებენ დამატებით კაპიტალურ გრანტს, მემორანდუმით განსაზღვრული ოდენობებით.

II - მთავრობის ვალის მართვა

1. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება

1.1 მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. სტრატეგიის ფარგლებში გაანალიზდა მთავრობის ვალის პორტფელის რისკები და ხარჯები, რის შედეგად განისაზღვრა პორტფელის რისკ-ინდიკატორების მიზნობრივი მაჩვენებლები. სტრატეგიის ძირითადი მიზნებია: მთავრობის ფინანსური საჭიროებების დაფინანსების უზრუნველყოფა ხარჯების მინიმუმაციით საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ადეკვატური რისკების ფარგლებში; მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

2.1 ვალდებულებების მართვის ოპერაციების ახალი ინსტრუმენტის - გამოსყიდვა (Buy-back) დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ახალი ინსტრუმენტის დანერგვა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2019 წლის ნოემბერიდან ხორციელდება ვალდებულებების მართვის ოპერაციების ახალი ინსტრუმენტის - გამოსყიდვის ოპერაციების (Buy-back operations) გამოყენება, რაც უზრუნველყოფს საშინაო ფასიანი ქაღალდების რეფინანსირების რისკის და ლიკვიდურობის ეფექტიან მართვას.

2.2 პირველადი დილერების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: რეკომენდაციების მომზადება პირველადი დილერების სისტემის ეფექტიანობის კუთხით, პირველადი დილერების საპილოტე სისტემის ამოქმედებისთვის შესაბამისი ცვლილებების მომზადება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულია პირველადი დილერების საპილოტე სისტემის სამოქმედო გეგმა, დაწყებულია ბაზრის მონაწილეებთან რეგულარული შეხვედრები.

2.3 ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ინვესტორებთან კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება. ბაზრის მონაწილეებთან და პოტენციურ ინვესტორებთან უწყვეტი დიალოგის რეჟიმის დანერგვა და გაღრმავება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ხორციელდება რეგულარული შეხვედრები ბაზრის მონაწილეებთან, დაგეგმილია უცხოელი ინვესტორებთან „Road show“ - ს გამართვა.

III - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2019 წელს განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნების ასახვა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც მოიცავს 2019 წელს დანერგილი IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2019 წელს დასაწერი სტანდარტების ანალიზის საფუძველზე, ასევე, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით მომზადდა და დამტკიცდა აღრიცხვის და ანგარიშგების ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებებს მოამზადებენ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები 2020 წლის 1 აპრილამდე

1.2 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში 2019 წელს ასახული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრების ინფორმირება, სასწავლო პროგრამების მომზადება და გადამზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრები იცნობენ და აღრიცხვაში იყენებენ 2019 წელს დანერგილი IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: არ განხორციელებულა

შენიშვნა: განხორციელდება 2020 წელს

1.3 IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2020 წლისთვის განსაზღვრული სტანდარტების ანალიტიკა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციის პროექტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია IPSAS დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2020 წლისთვის განსაზღვრული სტანდარტების ანალიტიკა და შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი

პერიოდი: ივნისი-დეკემბერი

პროგრესი: IMF- ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდა აღრიცხვის და ანგარიშგების ინსტრუქციის ჩანაწერების IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი და მომზადდა რეკომენდაციები IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად. ასევე, IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის პროექტი, ასევე, IPSAS სტანდარტების გამოყენების ინსტრუქციის პროექტი. აღნიშნული ინსტრუქციების გამოყენება გათვალისწინებულია როგორც ორგანიზაციების, ასევე, სახაზინო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისათვის 2020 წლის 1 იანვრიდან.

1.4 IPSAS სტანდარტებში ცნობადობის ამაღლება თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლებისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სემინარების, სამუშაო შეხვედრების და ა.შ. შედეგად, თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები იცნობენ IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, სახაზინო სამსახურსა და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას შორის 2017 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ჩატარდა IPSAS სტანდარტებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრები/სემინარები როგორც აღრიცხვის რეფორმის

ფარგლებში შერჩეული საპილოტე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის ასევე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბუღალტრებისათვის.

1.5 საპილოტე თვითმმართველი ერთეულების მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მათთვის IPSAS სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საპილოტე თვითმმართველი ერთეულების მიერ მომზადებულია 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებები, ადგილობრივი ბიუჯეტების სპეციფიკის გათვალისწინებით, IPSAS სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად,

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: GIZ-ის დაფინანსებით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით საპილოტე მუნიციპალიტეტების ბუღალტრებისათვის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებულ აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად საპილოტე მუნიციპალიტეტებმა მოამზადეს თავიანთი ფინანსური ანგარიშგებები

1.6 საპილოტე თვითმმართველი ერთეულების ბუღალტერთა ტრენინგები და გადამზადება IPSAS სტანდარტებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საპილოტე მუნიციპალიტეტების ბუღალტრები იცნობენ IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს და ანგარიშგებებს ამზადებენ IPSAS სტანდარტების შესაბამისად

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, GIZ-ის დაფინანსებით, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობით მოეწყო სამუშაო შეხვედრები საპილოტე მუნიციპალიტეტების ბუღალტრებისათვის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად შემუშავებულ აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებით. ასევე, ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბუღალტრებისთვის აღრიცხვის და ანგარიშგების ზოგად საკითხებთან დაკავშირებით.

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა; შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: არ განხორციელებულა

შენიშვნა: განხორციელდება 2020 წელს. საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა მხოლოდ საინფორმაციო სისტემის დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და მომხმარებლებთან საჭიროებებზე მორგება.

2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ტრენინგები და გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: არ განხორციელებულა

შენიშვნა: განხორციელდება 2020-2021 წლებში, საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირების პროცესის პარალელურად

3. ფულადი სახსრების მართვა

3.1 ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება და ფულადი სახსრების ეფექტური მართვის ინსტრუმენტების გამოყენება/განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში, ფუნქციურად გაუმჯობესებულია სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში ფულადი სახსრების მართვის მოდული

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდის თვალსაზრისით, 2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა 66 აუქციონი. აღნიშნული აუქციონების საშუალებით განხორციელდა ფულადი სახსრების განთავსება კომერციულ ბანკებში, დამატებითი შემოსულობების მიღების მიზნით. აუქციონები ჩატარდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილების შესაბამისად, რომელშიც განსაზღვრულია ფულადი სახსრების მართვის პროცესის მნიშვნელოვანი დეტალები, კერძოდ:

- სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების განთავსების ორგანიზება და ძირითადი პირობები;
- აუქციონის გამოცხადება და ჩატარების წესი;

- ფულადი სახსრების მართვა დეპოზიტის შემთხვევაში;
- ფულადი სახსრებისა და უზრუნველყოფის საშუალებების მართვა უზრუნველყოფილი დეპოზიტის შემთხვევაში და ა.შ.

განთავსებების შედეგად, 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულ იქნა 47,4 მილიონი ლარის საპროცენტო შემოსავალი.

ტექნიკური თვალსაზრისით, ფულადი სახსრების მართვის პროცესში ხდება სამი სხვადასხვა სისტემის გამოყენება. კერძოდ:

- ბლუმბერგის ტერმინალის საშუალებით ხორციელდება აუქციონის ჩატარება კონკურენტულ გარემოში და გამარჯვებული კომეციული ბანკის გამოვლენა;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემის საშუალებით ხდება სათანადო სახეობისა და ოდენობის ფასიანი ქაღალდების დაჯავშნა დეპოზიტის უზრუნველყოფისათვის;
- სახაზინო სამსახურის ფულის მართვის ელექტრონული მოდულის საშუალებით კი ხორციელდება თანხის გადარიცხვა გამარჯვებულ კომერციულ ბანკებში. აღნიშნული მოდული ფუნქციურად დაიხვეწა 2019 წლის განმავლობაში.

ფულადი სახსრების მართვის რეფორმა აქტიურად დაიწყო 2015 წელს, როდესაც შეიქმნა სახაზინო სამსახურის ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი - ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტი.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის საწყის ეტაპზე გატარებულ ღონისძიებებში სახაზინო სამსახურს დახმარება გაუწიეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა/პროექტებმა, როგორცაა ევროკავშირის სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდაჭერი პროექტი და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) პროგრამა.

დღესდღეობით ყველა ზემოთხსენებული სისტემური უზრუნველყოფა მუშაობს გამართულად და ფულადი სახსრების მართვის აუქციონები ტარდება მუდმივად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301 დადგენილების შესაბამისად.

3.2 ფულადი სახსრების მართვის დეპარტამენტის თანამშრომელთა დატრენინგება ფინანსური ბაზრებისა და ბლუმბერგის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსური ბაზრებისა და ბლუმბერგის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადამზადებულია ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფულადი სახსრების მართვის რეფორმის წარმატებული განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა პროცესში ჩართული თანამშრომლების უნარ-ჩვევების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორცაა ფულადი სახსრების პროგნოზირება, ანგარიშსწორება, გარიგებების აღრიცხვა, კონტროლი, რისკების მართვა და სათანადო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის განმავლობაში სახაზინო სამსახურის თანამშრომლებს კომპანია ბლუმბერგის წარმომადგენლებმა გაუზიარეს გამოცდილება თანამედროვე ფინანსური ბაზრების, ინსტიტუტებისა და ინსტრუმენტების შესახებ. მსგავსი ტიპის სასწავლო ღონისძიებები მუდმივად იმართებოდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, რათა სახაზინო სამსახურის თანამშრომლებს წარმატებით განეხორციელებინდათ ფულადი სახსრების მართვის პროცესთან დაკავშირებული ისეთი აქტივობები, როგორცაა: სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება, ფინანსური ინსტრუმენტების შემუშავება, ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, აღრიცხვა, ანგარიშსწორება და შემდგომი

ანგარიშგება. ასევე აღსანიშნავია, რომ რეფორმის საწყის ეტაპზე ევროკავშირის დაფინანსებით მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა სახელმწიფო ხაზინის თანამშრომლებისათვის ჩაატარეს რამდენიმე ეტაპიანი ტრენინგი ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის საკითხებზე.

შედეგად, სახაზინო სამსახურის თანამშრომლებს გააჩნიათ ფულადი სახსრების მართვისათვის საჭირო კვალიფიკაცია.

ფულადი სახსრების მართვის პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება გაგრძელდება მომავალშიც.

IV - საგადასახადო და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: - საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტების მომზადება, დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო სისტემის შესახებ ევროკავშირის N2006/112/EC დირექტივასთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის მომზადება, 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევრო გაერთიანების ფარგლებში ენერგო პროდუქტებისა და ელექტროენერჯის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით;

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო სისტემის შესახებ ევროკავშირის N2006/112/EC დირექტივასთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით და წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობისთვის შემდგომი ინიცირების მიზნით.

1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების ანალიზი, არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების იდენტიფიცირება და კანონპროექტის მომზადება მათი აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი და წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობისთვის შემდგომი ინიცირების მიზნით.

1.3 ინვესტორებისათვის საგადასახადო გზამკვლევის “pocket tax book“ ახალი ვერსიის შემუშავება და ბროშურების სახით გამოცემა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ინვესტორების და გადასახადის გადამხდელების ინფორმირებულობის ამაღლება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულ იქნა საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკისა და Ernst & Young -ის თანამშრომლობით დასაბეჭდი ვერსია, მაგრამ არ გამოიცა.

1.4 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების / არსებული შეთანხმებების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება;

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვა და მათი სრულყოფა. ამასთან, გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი. ქვეყნების მიხედვით ანგარიშების“ (CbC) ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის იმპლემენტაცია, აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა და შესრულების მონიტორინგი;

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: პარაფირებულ იქნა ჰონგ კონგთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების პროექტი. შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მიღების მიზნით მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები;

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ინიციატივით, 2016 წლის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, საქართველოს შეფასება მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის მე-2 რაუნდის ფარგლებში გადაიდო 2022 წლისთვის;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD/G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვა:

მე-5 ღონისძიება (საზიანო საგადასახადო პრაქტიკა) - საზიანო საგადასახადო პრაქტიკის შესახებ ფორუმის (FHTP) 2019 წლის 17-21 ივნისის შეხვედრაზე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ფინანსური კომპანია და

ვირტუალური ზონა შეფასებულ იქნა, როგორც „potential harmful but actually not harmful” და შედეგად არ დაგვევალა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, საქართველოს მიერ შეღავათიან რეჟიმთან დაკავშირებული საგადასახადო გადაწყვეტილებების იდენტიფიცირების, მათთან დაკავშირებული ინფორმაციის სავალდებულო სპონტანური გაცვლის და სტატისტიკის წარმოების მიზნით დანერგილი პროცესი, საგადასახადო გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლის 2019 წლის 23 დეკემბერის შეფასების ანგარიშის თანახმად, დადებითად იქნა შეფასებული (რეკომენდაციების გარეშე).

მე-6 ღონისძიება (შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა) – OECD-ს 2019 წლის შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ არსებითი პროგრესი განიცადა მე-6 ღონისძიებით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტის იმპლემენტაციის თვალსაზრისით და ამჟამად ახორციელებს მოქმედი ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებების მოდიფიკაციას მრავალმხრივი საგადასახადო ინსტრუმენტის საშუალებით.

მე-13 ღონისძიება (გარიგების შფასების დოკუმენტაცია და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება): დასრულდა საქართველოს კანონმდებლობაში BEPS-ის მე-13 ღონისძიებით გათვალისწინებული ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების დანერგვის მიზნით შემუშავებული ცვლილებების პროექტის განხილვა. პროექტი მზად არის პარლამენტში გასაგზავნად.

მე-14 ღონისძიება (დავის გადაჭრის მექანიზმის ეფექტურობის ზრდა): მიმდინარეობს მუშაობა ურთიერთშეთანხმების პროცედურის შესახებ ბრძანების პროექტზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული მრავალმხრივი კონვენცია „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“, საქართველოსთვის ძალაშია 2019 წლის პირველი ივლისიდან. ამჟამად მიმდინარეობს სინთეზური ტექსტების მომზადება გავრცელების სფეროში შემავალი თითოეული საგადასახადო შეთანხმებისთვის, რომლებშიც ასახული იქნება მრავალმხრივი ინსტრუმენტის დებულებები, რომლებითაც მოდიფიცირებულ იქნა ეს საგადასახადო შეთანხმება საქართველოს პოზიციების შესაბამისად. უკვე დასრულებულია მუშაობა სინთეზურ ტექსტებზე დიდ ბრიტანეთთან, სერბეთთან, სლოვაკეთსა და ინდოეთთან.

1.5 საბაჟო კოდექსის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობის გაგრძელება, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის მიზნით და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: ქართული საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიზნით მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი და მის საფუძველზე შემუშავდა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. კანონმორჩილების რისკის სტრუქტურულიზირებული მიდგომის დანერგვა

2.1 კანონმორჩილების რისკის მართვის მეთოდოლოგიური დეკუმენტის შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია და დამტკიცებულია საგადასახადო რისკების მართვის მეთოდოლოგია და შესაბამისად

პერიოდი: იანვარი- ივნისი

პროგრესი: შემუშავდა და დამტკიცდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის მეთოდოლოგია

2.2 რისკის სტრუქტურიზებული მიდგომის პრაქტიკაში განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: რისკის მართვა ხდება რისკების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად

პერიოდი: იანვარი- ივნისი

პროგრესი: შემუშავდა და დამტკიცდა კანონშესაბამისობის რისკის მართვის მეთოდური მითითება. სახელმძღვანელოს მიზანია შემოსავლების სამსახურში დაინერგოს სტრუქტურიზებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული საგადასახადო რისკების შემცირებას და საბიუჯეტო შემოსულობების ზრდას. საგადასახადო რისკების მართვის მეთოდური მითითება შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებული რისკების მართვის სახელმძღვანელოების შესაბამისად.

3. დღგ-ის ლეგიტიმული ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების პროგრამის შექმნა და იმპლემენტაცია

3.1 დღგ-ს ავტომატური დაბრუნების სისტემის ამოქმედება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, შემუშავებულია დღგ-ის დაბრუნების პროგრამა დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების განაცხადების 90% ბრუნდება ავტომატურად.

პერიოდი: იანვარი- მარტი

პროგრესი: 2019 წლის თებერვლიდან ამოქმედდა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ს გადასახადში რისკების მართვის თანამედროვე მიდგომებს და უზრუნველყოფს დღგ-ის თანხის დაბრუნების გამარტივებულ პროცედურებს. ავტომატური დაბრუნების სისტემის ამოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდა სისტემის მიერ შემოწმებულ დეკლარაციებზე თანხის დაბრუნების ვადის - 2 დღემდე შემცირება. ავტომატური დაბრუნების სისტემის გამარტული ფუნქციონირების მიზნით ამავე წელს აუდიტის დეპარტამენტში შეიქმნა დეკლარაციების კონტროლის სამმართველო.

4. გადასახადის გადამხდელთა რეესტრის შექმნა

4.1 გადამხდელთა რეესტრის შექმნის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადასახადის გადამხდელთა რეესტრის შექმნის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: გადასახადის გადამხდელთა სარეგისტრაციო მონაცემების ეფექტიანად მართვის მიზნით შემოსავლების სამსახურში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ განახორციელდა საგადასახადო რეგისტრაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა შესახებ სამსახურში არსებული მონაცემების სანდოობის უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში შემუშავდა საგადასახადო რეგისტრაციის კონცეფცია და „გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემთა მართვის“ სახელმძღვანელო.

4.2 გადამხდელთა რეესტრის შექმნის მიზნით კონცეფციის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა კონცეფცია

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: გადასახადის გადამხდელთა სარეგისტრაციო მონაცემების ეფექტიანად მართვის მიზნით შემოსავლების სამსახურში შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ განახორციელდა საგადასახადო რეგისტრაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა შესახებ სამსახურში არსებული მონაცემების სანდოობის უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა საგადასახადო რეგისტრაციის კონცეფცია და „გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემთა მართვის“ სახელმძღვანელო.

4.3 კონცეფციის განსახორციელებლად პროექტების შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული კონცეფცია

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა კონცეფციის განხორციელებაზე

V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ეკონომიკური აქტივობის ანალიტიკური პროდუქტების გაფართოება, გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგების გაცნობა (რეგულარული განხილვების სისტემის დანერგვა).

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გაიზარდა ანალიტიკური ინფორმაციის არეალი; ყოველთვიური პრეზენტაციისა და ბროშურასთან ერთად პერიოდულად მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებზე, ინვესტორებზე და ა.შ.; გაფართოვდა მიმდინარე ანგარიშისა და საგარეო ვალის ანალიზის მიმართულება; დაიწყო მუშაობა საგარეო მოწყვლადობის ანალიზზე. დაიხვეწა 2018 წელს შემუშავებული ეკონომიკური ანალიზის/პროგნოზირების

მოდელები. ამასთან, შეფასდა ფისკალური მულტიპლიკატორები, რაც საფუძვლად დაედო ფისკალური რეფორმის მოსალოდნელი შედეგების შეფასებას.

1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა მონაცემთა დამუშავების ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ხორციელდება MATLAB პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით. აღნიშნულმა სისტემამ გაზარდა ინფორმაციის მიღება-დამუშავების ოპერატიულობა. განახლდა ყოველთვიური პუბლიკაციების დიზაინი და გაიზარდა მისი ინფორმაციულობა. პერიოდულად მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება (IMF-ის პირდაპირი და ონლაინ ტრენინგები ანალიტიკური მაჩვენებლების გამოყენების მიზნით. შედგენილია სხვადასხვა სამუშაო ფაილი, სადაც ხორციელდება ანალიტიკური მაჩვენებლების მიღება, დამუშავება და გრაფიკული ანალიზი. გრძელდება დღგ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. გაუმჯობესებულია მეთოდოლოგია ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის. დაიხვეწა საბაჟოს ოპერატიული მონეაგემების ანალიზის პროცესი საგარეო ვაჭრობის ტრენდების შესაფასებლად.

1.3 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის განახლება, DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკური სცენარის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2019 წლიდან ფინანსთა სამინისტრომ ოპერირება დაიწყო DSGE მოდელის გამოყენებით, რაც გულისხმობს ფისკალური პოლიტიკისა და სხვადასხვა შოკების განვითარების სცენარების შეფასებას. ამასთან, აღნიშნული მოდელის გამოყენებით ხორციელდება პოლიტიკური რეფორმებით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის სიმულირება.

რაც შეეხება მაკროეკონომიკურ რისკებს, ყოველწლიურად მზადდება მომზადდა ფისკალური რისკების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა გაანალიზებული როგორც საგარეო მაკროეკონომიკური რისკები, მათი რეალიზაციის შედეგები და პოლიტიკის პასუხები, ასევე სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის შეთანხმებებიდან მომდინარე რისკები. აღნიშნული დოკუმენტი, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებთან ერთად, დაერთო 2020 წლის ბიუჯეტს.

1.4 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საშუალო ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის საშუალოვადიან ჩარჩოს. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-საიტზე ბიუჯეტის კანონპროექტების/კანონთან ერთად.

1.5 საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოქასტიკური მოდელის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციის შემუშავება და დანერგვა პოლიტიკის ანალიზისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საერთო წონასწორობის დინამიკურ სტოქასტიკური მოდელისთვის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციები, პროგრამაში პროგნოზირების ნაწილის დანერგვა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: აქტივობები განხორციელდა 2019 წლის დასაწყისში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ჩატარდა აუცილებელი ტრენინგები, მათ შორის, მაკროეკონომეტრიკული პროგნოზირება, ფისკალური პოლიტიკის ანალიზი, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ანალიზი საერთო-წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური მოდელების (DSGE) გამოყენებით და სხვა. მოდელში უკვე ასახულია საქართველოს ეკონომიკის ყველა არსებითი მახასიათებელი, რაც აუცილებელია პოლიტიკის გავლენის ადეკვატური შეფასებისათვის. გაიწერა აქტივობათა გეგმა 2020 წლისათვის, რაც მიზნად ისახავს მოდელის პროგნოზირების სრულყოფას.

1.6 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა მაკრო-ფისკალური მაჩვენებლებზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ხორციელდება სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების/რეფორმის ეფექტების შეფასება ეკონომიკაზე სხვადასხვა სცენარის პირობებში. მაგალითად, განხორციელდა განათლების რეფორმის ეფექტების შეფასება DSGE მოდელის გამოყენებით.

1.7 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიის პირველადი ვერსიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან, როგორცაა Fitch, Moody's და S&P. წლის განმავლობაში საქართველოში რამდენჯერმე ჩამოვიდა აღნიშნული კომპანიების დელეგაცია რა დროსაც მოეწყო შეხვედრები როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძოს სექტორის წარმომადგენლებთან. აღნიშნულ შეხვედრებს ორგანიზებას უწევდა ფინანსთა სამინისტრო. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პირისპირ შეხვედრებისა, მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაციები როგორც ელექტრონული ფოსტით, აგრეთვე ტელეფონით, რა დროსაც სარეიტინგო კომპანიებს ეცნობებათ ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები.

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენება, შემოსავლებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტების შესწავლა, აქციზური საქონლის ელასტიურობის კოეფიციენტის შესწავლა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შეფასდა როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის, დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერიოდისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზები დაეყრდნობა DSGE მოდელს. პროგნოზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება 2019 წელს განხორციელებული რამდენიმე ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში, კერძოდ, ოქროს სიის გაუქმება, აქციზური განაკვეთების ცვლილება და სხვა.

2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გამოქვეყნებული ანგარიშები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ყოველწლიურად ხორციელდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე როგორც წლიური, აგრეთვე კვარტალური და თვიური სიხშირით. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მზადდება ანალიტიკური მონაცემები ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შესახებ, რომელიც ქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტებთან/კანონებთან ერთად.

VI - ფისკალური რისკები

1. ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა

1.1 სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების იდენტიფიცირება და შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემების მიღების სისტემის/მეთოდოლოგიის დახვეწა; სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების რეესტრის განახლება; სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობის შედეგების ანალიზი და ფისკალური რისკების შეფასება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საწარმოთა ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, სახელმწიფო სტრუქტურებიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და სხვა ადმინისტრაციული წყაროებიდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების, პირობითი ვალდებულებების და მათი საქმიანობის მიმდინარე და საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით წარმოდგენილი ანგარიშგებების ინფორმაციის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განახლდა სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი და კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით გამოყოფილ იქნა ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი 288 საწარმო, მათ შორის საწარმოების 52 შვილობილ კომპანია. ინფორმაცია საწარმოების რეესტრის და ფინანსურ მონაცემების შესახებ ასახულია „ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტში“.

ცნობისთვის, წინა წლებისგან განსხვავებით, 2019-2023 წლების ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი დაერთო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენას, რაც დამატებით დადებითად აისახება საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობაზე. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტს 2019 წლის ოქტომბერი-დეკემბრის განახლებებში დამატა საჯარო სექტორის საბალანსო ანგარიშგების, სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის და ბუნებრივი კატაკლიზმებიდან მომდინარე რისკების შესახებ ქვე-თავები.

1.2 კვაზი-ფისკალური აქტივობების იდენტიფიცირება, შეფასება და ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: კვაზი-ფისკალური აქტივობების რეესტრის განახლება; კვაზი-ფისკალური აქტივობებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა ექვსი საწარმო, რომელიც ეწევა კვაზი-ფისკალურ აქტივობას. მათი საქმიანობა ხორციელდება ენერგეტიკისა და კომუნალური მომსახურების სექტორებში. შეფასდა აღნიშნულის წმინდა დანახარჯების მოცულობა და ფისკალური რისკები.

კვაზი-ფისკალური აქტივობების მიზანშეწონილობის შეფასების და მათგან მომდინარე ფისკალური რისკების შესამცირებლად მიმდინარეობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და მექანიზმების დანერგვა.

1.3 სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზი და სტრუქტურული ტენდენციების ჩატარება შესაძლო ფისკალური რისკების შეფასების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: სენსიტიურობის ანალიზის და სტრეს ტესტების მეთოდოლოგიის გამოყენება მსხვილი სახელმწიფო საწარმოების მონაცემებზე დაყრდნობით, მოდელირებული შოკების გამოყენება და მათი გავლენა საწარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით მომზადდა სახელმწიფო საწარმოთათვის სენსიტიურობის ანალიზის მოდელი და მეთოდოლოგია. პრაქტიკაში დანერგვის მიზნით და განახლებული მონაცემების საფუძველზე მოხდა მოდელის განახლება და გაუმჯობესება.

განახლებული მოდელისთვის, ფინანსური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეირჩა 6 მსხვილი სახელმწიფო საწარმო, რომელთა 2018 წლის ჯამური მთლიანი აქტივები ფისკალური რისკების ანალიზში განხილულ სახელმწიფო საწარმოთა ჯამური მთლიანი აქტივების 65%-მდე შეადგენს.

არჩეულ საწარმოთათვის მომზადდა სამ-წლიანი ისტორიული (2016-2018) და ხუთ-წლიანი პრო-ფორმა (2019-2023) ფინანსური პროგნოზები. მოდელში აისახა საწარმოების სენსიტიურობა (სტრეს-ტესტებს) სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების, მწვავე ეკონომიკურ შოკების და მოდელირებული სცენარების მიმართ, მათ შორის მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების შოკების მიმართ.

1.4 სახელმწიფო საწარმოების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება/სახელმწიფო საწარმოების იდენტიფიცირება საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოების საზოგადოებრივი დაინტერესების პირებად იდენტიფიცირების კრიტერიუმების შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიღებულ იქნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ იურიდიული პირის საზოგადოებრივი დაინტერესების პირად განსაზღვრის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის N584 დადგენილება, რომლის შესაბამისად სდკ-ად შეიძლება განისაზღვროს იურიდიული პირი, „თუ იგი არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საწარმო და, ამასთან, წარმოადგენს სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის 25%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოს და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს პირველი ან მეორე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმებს, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 23 დეკემბრის N1781 ბრძანებით განისაზღვრა იმ საწარმოთა სია, რომლებიც დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად იდენტიფიცირდნენ როგორც საზოგადოებრივი დაინტერესების პირები.

1.5 საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, აღრიცხვა და შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების რეესტრის შექმნა; საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული PFRAM მოდელის გამოყენება, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების შეფასებისა და სისტემური ანალიზის მიზნით;

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის IPSAS- 32-ის შესაბამისად მოხდა 2019 წლის მდგომარეობით ქვეყანაში არსებული PPP პროექტების მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება. ასევე, ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტი მოიცავს ელექტროენერჯის გარანტირებული ხელშეკრულებებიდან მომდინარე პირობითი ვალდებულებების/ფისკალური რისკების შეფასებასაც. აღნიშნული პროექტები ასევე წარმოადგენენ საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმას

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილია PPP პროექტების სრულყოფილი რეესტრი.

შენიშვნა: 2019 წელს არ შემოსულა არცერთი პროექტი, რომელიც დაექვემდებარებოდა PFRAM-ით შეფასებას. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს PFRAM-ი განახლდა. 2020 წლის იანვარში ფისკალური რისკების მართვის სამმართველოს თანამშრომლები გადამზადდებიან განახლებულ PFRAM-ში.

1.6 საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით.

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის სამმართველო

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიღება იგეგმება 2020 წლის აპრილამდე.

მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს აზიის განვითარების ბანკის (ADB) ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით მოწვეულ ექსპერტებთან ერთად საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოს პროექტის მეორე ფაზაზე მუშაობა.

VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებულია ღონისძიებები; 2. განხორციელებულია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი; 3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2018 წლის წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჰარმონიზაციის ცენტრმა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით 2019 წლისათვის გათვალისწინებული აქტივობები წარმატებით განახორციელა როგორც ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის, ასევე შიდა აუდიტის მიმართულებით; განხორციელდა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ 2018 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში წარედგინა საქართველოს მთავრობას, რომელმაც 2019 წლის 27 დეკემბრის №2085 განკარგულებით მოიწონა იგი.

1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. პილოტური პროექტის ფარგლებში განხორციელებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის თვითშეფასება და შემუშავებულია სისტემის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა მინიმუმ 2 სამინისტროსთვის; 2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბებულია მინიმუმ 2 სამინისტროში; 3. მინიმუმ 2 სამინისტროში შემუშავებულია რისკების რეესტრი რისკების მართვის პროგრამის ჩამოსაყალიბებლად.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პილოტური პროექტების ფარგლებში, ჰარმონიზაციის ცენტრმა ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით განახორციელა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის არსებული მდგომარეობის თვითშეფასება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში; აღნიშნულ სამინისტროებში ჩამოყალიბდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სამუშაო ჯგუფები, რომელიც შედგება მხარდაჭერი ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისგან და ხელმძღვანელობს საფინანსო/ეკონომიკური ერთეულის კურატორი მინისტრის მოადგილე; 4 სამინისტროს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო) თანამშრომლებს აუმაღლდათ კვალიფიკაცია რისკების ეფექტური მართვის, მათ შორის რისკების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ამასთან, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, მიმდინარეობს რისკის მართვის სისტემებზე მუშაობა სამინისტროების დონეზე.

1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. შემუშავებულია შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების ეროვნული პროგრამის კონცეფცია; 2. პილოტური პროექტის ფარგლებში განხორციელებულია მინიმუმ 2 შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება; 3. შიდა აუდიტორებისათვის შემუშავებულია მეთოდოლოგია კორუფციისა და თაღლითობის რისკების შეფასების კუთხით.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის კონცეფცია და საერთაშორისო საკონსულტაციო და აუდიტორული ცენტრის - „Center of Excellence in Finance“ (CEF)

მხარდაჭერით მიმდინარეობს ადგილობრივი ტრენერების გადამზადება და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება; პილოტური პროექტების ფარგლებში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება 4 სამინისტროში (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო); შემუშავებულია მეთოდოლოგია კორუფციისა და თაღლითობის რისკების შეფასების კუთხით.

VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

1. ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

1.1 ანგარიშგების პორტალის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარებული ცნობიერების ამაღლების 15-მდე პრეზენტაცია.

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;

ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული მსს ფასს სტანდარტების (IFRS for SMEs) სატრენინგო მოდულები;

მიზნობრივი აუდიტორიისთვის დონორების და სპონსორების მხარდაჭერით ჩატარებული მსს ფასს ტრენინგები;

ანგარიშგების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (**Reportal.ge | SARAS**) გასაჯაროებული 20 000-მდე საწარმოს ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (**Reportal.ge**);

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საკანონმდებლო ცვლილებების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარდა ცნობიერების ამაღლების 15 პრეზენტაცია. განახლებული ფასს სტანდარტები (2019 წლის ვერსია) ითარგმნა და განთავსებულია სამსახურის ვებგვერდზე. ასევე მსს ფასს სტანდარტების (IFRS for SMEs) სატრენინგო მოდულები ითარგმნა და განთავსებულია სამსახურის ვებგვერდზე. მსოფლიო ბანკის, (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ორგანიზებითა და სრული დაფინანსებით ჩატარდა 16 მსს ფასს ტრენინგი და გადამზადდა 500-მდე ბუღალტერი. რაც შეეხება ანგარიშგებ ის წარდგენას სამსახურის პორტალზე (Reportal.ge) გასაჯაროვდა სდკ-ების, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოების/შესაბამისი ჯგუფების 4 000-მდე ანგარიშგება. მეოთხე კატეგორიის საწარმოების ანგარიშგების წარდგენა გადაიდო კანონში განხორციელებული 2019 წლის 26 ნოემბრის ცვლილებით. თუმცა, 22 000 მეოთხე კატეგორიის საწარმომ წარადგინა ანგარიშგება. იმ საწარმოების მიმართ (გარდა მეოთხე კატეგორიის საწარმოებისა), რომლებმაც არ წარადგინეს ანგარიშგებები, გამოყენებულ იქნა შესაბამისი სანქციები. დამატებით, ეტაპობრივად მიმდინარეობს აღნიშნული ანგარიშგებების წარდგენა.

2. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

2.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

25-მდე აუდიტორული ფირმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ხარისხის კონტროლის სისტემის 30 მონიტორინგის პროცესი დასრულებულია, 8 - მიმდინარე.

IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ახალ ტექნოლოგიაზე დაწერილი კონფიგურაციის მოდულის დანერგვა; ნაშთების დაგეგმვის ფუნქციონალის გაფართოება (პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს ნაშთების აღრიცხვის გზით); სტრუქტურული ცვლილების ცნობის ფუნქციონალის გაფართოება საბიუჯეტო ერთეულებს შორის გადატანის და დონორების ტიპის კოდებთან მუშაობის შესაძლებლობის გაფართოების მიზნით; ხაზინის სისტემიდან ბიუჯეტის სისტემაში კონვერტაციების შესაბამისი ინფორმაციის ავტომატური სინქრონიზაცია და შემოსულობების დაგეგმვის, დაზუსტებისა და შესრულების კონტროლის პროცესისთვის საჭირო ხაზინასთან საინტეგრაციო ფუნქციონალის შექმნა; მიზნობრივი გრანტის რესურსების დათვლის ლოგიკის ცვლილება; ფორმულით მართვადი და დინამიური რეპორტების ფუნქციონალის გაფართოება; ცნობების ბარიერების მექანიზმის სრულყოფა ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისთვის; ხაზინიდან სერვისებით რეპორტების წამოღება ბიუჯეტის სისტემაში.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა და რეალურ გარემოში დაინერგა ბიუჯეტისა და ხაზინის ელექტრონულ სისტემებს შორის გადასახდელების გეგმების, ბლოკირებების, რესურსების მიმოცვლის და ვალიდაციის ოპტიმიზირებული მექანიზმები. ასევე, ბიუჯეტის და ხაზინის ელექტრონული სისტემების შემოსულობების კლასიფიკატორის უნიფიკაციის, ბიუჯეტისა და ვალების მართვის ელექტრონული სისტემების ინტეგრაციის და რიგი სხვა ამოცანები.

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლის რეფორმის მეორე ეტაპისთვის - შემოსულობების ნაწილის ანალიტიკა და ტექნიკური დავალების შემუშავება;

შესაბამისი ბუღალტრული გატარებების ხაზინის მთავარ წიგნში ასახვა; მიმდინარე რეფორმების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სისტემას დაემატა 10 ახალი ფუნქციონალი (დაგროვებითი საპენსიო სქემის ხაზინის ორგანიზაციის თანამშრომლის სტატუსის დადგენა და ხაზინის და საპენსიო სააგენტოს ბაზის მონაცემების ავტომატური სინქრონიზაცია, ხაზინის სისტემიდან საპენსიო ფონდიდან თანხის მობრუნების განაცხადის გაგზავნა, საპენსიო სააგენტოდან თანხების მობრუნების ავტომატიზირებული პროცესი, ხაზინის თანამშრომლის საპენსიო სქემაში ნებაყოფლობითი დაწვევრიანების განაცხადის გაგზავნა, საგადასახადო დოკუმენტების ელექტრონულად მიღება შემოსავლების სამსახურიდან, ხელშეკრულებაზე აღებულ ვალდებულების დამუშავება და ვალიდაციების სქემა, სსიპ-ების და ადგილობრივი თვითმმართველობების ბუღალტერია, ღონისძიების ნაშთის დაბრუნება, შემოსავლების კლასიფიკატორების მიღება ბიუჯეტის სისტემიდან, ერთდროულად ორი განსხვავებული ბუღალტრული ანგარიშთა გეგმის არსებობის შესაძლებლობა). შეიცვალა გრანტების გადარიცხვების ვალიდაციის სქემა, ვალდებულების ფორმა, ხელშეკრულების და ვალდებულების დეტალების ვალიდაციები, შემოსავლების კლასიფიკატორების ბუღალტრულ ოპერაციებთან კავშირები, SWIFT ტრანზაქციების დამუშავების ფუნქციონალი, შესყიდვების სააგენტოდან მონაცემების მიღების და მიღებული მონაცემების დამუშავების ლოგიკა. ხაზინის ელექტრონულ სერვისებს დაემატა ახალი მეთოდები, ხოლო საფინანსო უწყების პორტალს და ხაზინის მოდულს დაემატა ანგარიშგებები. მოხდა მხარჯავების პორტალის და ხაზინის მოდულების ოპტიმიზაცია.

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება; ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: რეალურ გარემოში დაინერგა ვალების მართვისა და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემების ინტეგრაციის ამოცანა. გადაკეთდა რიგი ანგარიშგების დოკუმენტები გამოსყიდული ფასიანი ქაღალდების ასახვის მიზნით. გამკაცრდა სისტემაში მუშაობის უსაფრთხოების მექანიზმები და დასრულდა რიგი სხვა ამოცანები.

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემის ახალი ვერსიის გავრცელება მომხმარებელ ორგანიზაციებში; შეფასების მოდულის ინტეგრირება სისტემაში; ტრენინგების და განვითარების მოდულის ინტეგრირება სისტემაში; სისტემიდან ინფორმაციის ექსპორტის უზრუნველყოფა; სხვა სისტემებთან ინტეგრირება; სისტემის მუდმივი განვითარება მოთხოვნების შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და სისტემას დაემატა 10-ზე მეტი ახალი ფუნქციონალი, მოდული და ანგარიშგება. დასრულდა საინტეგრაციო სერვისების პირველი ეტაპი და მსვლელობა მიეცა შემდგომი ეტაპის ამოცანებს.

მსვლელობა მიეცა ტექნიკური დავალების შემუშავებას სისტემის ანგარიშგების კონსტრუქტორის რეალიზებისთვის.

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ინფრასტრუქტურული და სისტემური მდგრადობის ამაღლება; ახალი სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების დანერგვა, ბიზნეს პროცესების ITIL-თან შესაბამისობაში მოყვანა, ISO 27000 სტანდარტების დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჩატარდა QNAP სტორიჯის ინსტალაცია მონტაჟი მონაცემთა დამუშავების ორივე ცენტრში. მაღალი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მონაცემთა საცავი დაერთდა 2 დამოუკიდებელ ბირთვზე, განახლდა სისტემა და მოხდა მისი ინტეგრაცია არსებულ ინფრასტრუქტურაში. განხორციელდა ტესტირებები ქსელის მდგრადობასა და წარმადობაზე სხვადასხვა კონფიგურაციების პირობებში. ჩატარდა მონაცემთა ბაზების (Oracle და SQL) სერვერების სტრუქტურის განვითარება და დახვეწა. ოპტიმიზაცია ჩატარდა, მონაცემი შეიკუმშა და წლების მიხედვით დაიყო eDocument-ის და eTreasury სისტემის ბაზებისთვის. დაინერგა ორაკლის მონაცემთა ბაზების მონიტორინგისა და მართვის საშუალებები (Oracle Enterprise Manager Cloud Control 13c), რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება, როგორც მოსალოდნელი ინციდენტების დიდი ნაწილის პრევენცია, აგრეთვე წარმოქმნილი პრობლემების მოკვლევა და ანალიზი.
